პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
10 ივლისი
№ 158 (17503)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიერეთ ორგანიზატორული მუშაობა ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სკკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ძირითადი მატერიალური რესურსების — ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის.

მაგრამ, როგორც აღნიშნულია დადგენილებაში, ეს მუშაობა მთლიანად არ შეესაბამება სკკკ XXV ყრილობის მოთხოვნებს. მისი მთავარი ნაკლი ის არის, რომ არ არსებობს მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის მართვის ზუსტი სისტემა. განხორციელებული ღონისძიებანი, როგორც წესი, ლოკალური, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ხასიათისაა, არ იგრძნობა ამ პრობლემის გადაჭრისათვის მუშაობისადმი კომპლექსური მეცნიერული მიდგომა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები საკმაოდ საფუძვლიანად არ მუშაობენ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხების გადაწყვეტაზე, სუსტადაა გამოყენებული მოწინავე გამოცდილება. სრულად არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ორგანიზაციების შესაძლებლობანი ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლაში.

პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ იმისათვის, რომ განვითარდეს ფართო მასების შეკიბრება მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის. ამ საქმეში იგრძნობა ფორმალიზმის ელემენტები. სუსტად არიან ჩაბმული ამ მუშაობაში კომკავშირული ორგანიზაციებიც.

სკკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს განახორციელონ ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ამ მასალების დაზოგვისათვის, ამასთან გაითვალისწინონ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, თაობრ-სემინარების, საზოგადოებრივ დათვალიერებათა მოწყობა, მოწინავე გამოცდილების, შემოქმედებითი თაოსნობის გავრცელება და დანერგვა, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხებზე მასალების თემატიკის გაფართოება პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში, მატერიალური რესურსების დაზოგვის დარგში ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობის საკონტროლო კომისიების საქმიანობის გააქტიურება.

პერსონალური პასუხისმგებლობა ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისა და რაციონალური გამოყენების დარგში რაციონალიზატორული, გამომგონებლობითი მუშაობის განვითარებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე მეცნიერებისა და წარმოების თანამეგობრობის გასაძლიერებლად.

მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სახმშენსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ 1980-1985 წლებისათვის შეიმუშაონ ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვის პრობლემების გადაჭრისათვის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მონაწილეობის კომპლექსური გეგმები.

საქართველოს სსრ სახმომრაგება ვალდებულია გააძლიეროს კონტროლი საფონდო დისციპლინის, ლითონის, ცემენტის, ხე-ტყისა და სათბობის ხარჯვის ნორმების სწორი გამოყენების, დაცვა-შესრულებისადმი, შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი აღნიშნული მასალების ხარჯვაში უყაირათობის თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს („საქმთავარენერგოს") დაევალა მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შეიმუშაოს ელექტროენერგიისა და თბოენერგიის დაზოგვის მუდმივმოქმედ ღონისძიებათა სისტემა, ამასთან მხედველობაში მიიღოს ენერგიის დანაკარგების მკვეთრი შემცირება ქსელებში ტრანსპორტირების დროს, წესების შესაბამისად დადგმული ძალური და გასანათებელი სიმძლავრეების ტექნიკური ექსპლოატაციის განხორციელება, მეორადი სითბოს გამოყენება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, საზოგადოებრივ დათვალიერებათა მოწყობას, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის წარმოების წოვატორთა და მოწინავე კოლექტივების ბრძოლის გამოცდილების გავრცელებას.

კომუნისტური შრომის სკოლებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ საწარმოების, საამქროების, უბნების, ცალკეული მუშების საქმიანობის საუკეთესო მაგალითებს ძირითადი მასალების ყაირათიანი ხარჯვის საქმეში, წარმართონ მსმენელთა ძალები მათი დაზოგვის დამატებითი რეზერვების გამოსაძებნად.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააააქტიურონ „კომკავშირული პროექტორების" მუშაობა და წარმართონ მათი საქმიანობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, უზრუნველყონ ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობა ამ ღონისძიებებში.

რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების რედაქციებს, რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს დაევალათ გააძლიერონ მასალების მომზადება ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ბრძოლის საკითხებზე, ფართოდ მიიზიდონ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოსვლებისათვის წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, ინჟინრები და ტექნიკოსები, სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების წარმომადგენლები, რათა ისაუბრონ ამ პრობლემის გადაჭრისათვის მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოქვა რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მეცადინეობა დაზოგვის შესამუშავებელ ღონისძიებათა სისტემის რეალიზაციისათვის უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საბოლოო ეკონომიკური ეფექტის მიღებას. (საქინფორმი).

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა: 1980 წელი

9 ივლისს საქართველოს სამკერვალო მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში გაიხსნა იმ ნაწარმის ნიმუშების გამოფენა, რომელიც მასობრივად უნდა გამოუშვან საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 1980 წლისათვის. თავიანთი პროდუქცია — აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, კოსტიუმები, კაბები, ბეწვეული, ხალიჩები და სხვა ნაწარმი წარმოადგინეს თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანებებმა, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატმა, გორის ბამბეულის კომბინატმა, წყნეთისა და სოხუმის სამკერვალო ფაბრიკებმა, ცხაკაიას ხალიჩის კომბინატმა, და სხვა საწარმოებმა. გამოფენაზე წარმოდგენილ ნიმუშებს შორის არის პრინციპულად ახალი ნაწარმი, რომელიც დარგმა შექმნა. ეს არის შელონის ქსოვილი, რომელიც თავისი თვისებებით უახლოვდება ბუნებრივ აბრეშუმს, საკოსტიუმე ქსოვილი, ტვიდის ტიპის შალეული, პალასი და ბევრი სხვა.

გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. ნ. ენუქიძემ, ა. ხ. ინაურმა, გ. ვ. კოლბინმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ზ. ა. პატარიძემ, ჯ. ი. პატაშვილმა, ო. ე. ჩერქეზიამ, ზ. ა. ჩხეიძემ, ს. ე. ხაბეიშვილმა, თ. ი. მოსაშვილმა, ე. კ. შარტავამ, რესპუბლიკის, ქალაქების თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა მუშაკებმა.

სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე, რომელმაც თქვა, რომ დარგი დაამზადებს ორი ათასამდე მოდელის და არტიკულის ნაწარმს, რომლის გამოშვება დასახულია 1980 წლისათვის. პროდუქციის ასორტიმენტის განახლებამ ტრიკოტაჟის დარგში შეადგინა 65, სამკერვალო დარგში — 50 და ტყავ-ფეხსაცმლის დარგში — 78 პროცენტი. წინა წლებთან შედარებით ინსებითად გაიზრდება საბავშვო ნაწარმის გამოშვება. დიდი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. მეთერთმეტე ხუთწლედში დარგი აპირებს მთელი პროდუქციის ნახევარი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით გამოუშვას. გამოფენილი პროდუქციის ნიმუშებს მაღალი შეფასება მისცეს. ამავე დროს აღინიშნა, რომ უკეთ უნდა შეისწავლონ მოსახლეობის მოთხოვნა, ფართო საზოგადოებრივობას გააცნონ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი. (საქინფორმი).



საიუბილეო ნადნობი

25 ივლისს წინათ ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის პირმშომ — რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი თუჯი გამოუშვა. ამ თუჯით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბარელიეფი ჩამოასხეს.

6 ივლისს, ისევე როგორც მეოთხედი საუკუნის წინათ, ბრძმედის საამქროდან თუჯი გამოვიდა. ამჯერად იგი საიუბილეო იყო.

ნადნობი შესანიშნავი გამოდგა — მაღალხარისხოვანი, ჩქაროსნული. ამ დღეს მებრძმედეებმა 125 ტონა თუჯი გამოუშვეს ვეგმის გადაჭარბებით.

ქართველ მეტალურგებს ღირსშესანიშნავი იუბილე მიულოცეს კოლეგებმა და მახლობლებმა — რუსებმა და უკრაინელებმა. ბევრი მისალოცი დეპეშა მოვიდა აგრეთვე მაკეევკიდან, ენაკიევოდან, ჟდანოვიდან, სვერდლოვსკიდან, სუმგაითიდან...

სურათებზე: (ზემოდან): პირველი ნადნობის მონაწილემ კარლო პატიაშვილმა (მარჯვნივ) და ახალგაზრდა მექურემ ფილიპე დარცმელიამ ჩინებულად დაამთავრეს საიუბილეო დნობა; მიმდინარეობს საიუბილეო თუჯის დნობა; ულოცავენ საიუბილეო ნადნობის მონაწილეებს (მარცხნიდან) მებრძმედეებს ვახტანგ ბიბილაშვილს, სერგი მაისურაძეს, უშანგი არბოლიშვილს, ანზორ ივანიძეს და ფილიპე დარცმელიას.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 9 ივლისი. (საკდესი). 19 კვირაა ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი „სალუტ-6" — „სოიუზ" ორბიტულ კომპლექსში მუშაობენ.

ეკიპაჟმა ნახმარი მოწყობილობა სადგურიდან „პროგრეს-7" ხომალდის სატვირთო ნაკვეთურში გადაიტანა და დღეს განაგრძობს სამეცნიერო აპარატურის მზადებას მომავალი კვლევისა და ექსპერიმენტებისათვის.

დღეს მოიწყო აგრეთვე პილოტირებული კომპლექსის ნაკვეთურების გაქრევა სატვირთო ხომალდის ბალონების შეკუმშული ჰაერით.

ფრენის წინა ორი დღე დაეთმო ეკიპაჟის აქტიურ დასვენებას. კოსმონავტები ასრულებდნენ ფიზიკურ ვარჯიშს, ესაუბრებოდნენ. თავისიანებს, ვიზუალურად აკვირდებოდნენ დედამიწის ზედაპირსა და ოკეანეს.

ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ

ვილი შტოფს

ბერლინი

ძვირფასო ამხანაგო ვილი შტოფ,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ თქვენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს, სამოცდამეხუთე წლისთავს.

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ თქვენს თვალსაჩინო პირად წვლილს გერმანიის მიწა-წყალზე პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისა და განვითარების საქმეში, ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ძმური მეგობრობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის გაფართოების საქმეში.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგო შტოფ, ჯანმრთელობას, დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ საქმიანობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა საკეთილდღეოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის.

კომუნისტურად მოგესალმებით

ლ. ბრეჟნევი. ა. კოსიგინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ვილი შტოფის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ვილი **შტოფი** დაჯილდოვდეს **ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 6 ივლისი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი პროგრამა

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პლენუმი

ყაზბეგის რაიონი. საქართველოში, ამ მთიან რესპუბლიკაში, ყაზბეგს განსაკუთრებული ადგილი უკავია — იგი ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონია. აქ ალბათ ერთ ჰექტარ სწორ ფართობსაც ვერ იპოვით: მთები, მთები, მთები... რაიონული ცენტრიდან თითქმის ერთი ნაბიჯია კავკასიონის ულამაზეს მწვერვალამდე — მყინვარწვერამდე. აქ ღრიალით მოედინება ბობრქარი თერგი.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს თავის კვალს აჩნევს რაიონის სოციალურ-ეკონომიკურ სახეს, სადაც განვითარებულია მხოლოდ მეცხოველეობა, უფრო სწორად მისი ერთი დარგი — მეცხვარეობა.

მაგრამ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რაიონის მშრომელები მხოლოდ მეცხვარეობის განვითარებისათვის ზრუნავდნენ. ისინი მრეწველობის, მშენებლობის განვითარებისთვისაც ფიქრობენ... ამაში საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის მესამე პლენუმმაც დაგვარწმუნა. პლენუმში მონაწილეობისათვის ყაზბეგში ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

პლენუმის განსახილველად გამოტანილი იყო საკითხი — რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ყაზბეგის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად.

პლენუმზე მოწვეული იყვნენ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ფართო აქტივი.

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი გ. გ. შიხაშვილი მოხსენებაში მოკლედ შეეხო რაიონის მშრომელთა წარმატებებს: მიმდინარე ხუთწლედის მესამე წელს, წინა წელთან შედარებით, სახელმწიფოს ჩაბარდა 701 ტონით მეტი ხორცი და 56 ტონით მეტი მატყული. გადაჭარბებით შესრულდა უხეში საკვების დამზადების გეგმები, შემცირდა ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების თვითღირებულება, მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა პირადი შემოსავალი, მაშასადამე, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებაც.

მომხსენებელმა და პლენუმზე გამოსულებმა — სოფელ სიონის ქედანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ს. ტატიშვილმა, დაბა ყაზბეგის კოლმეურნეობის სარქალმა ნ. გ. ქავთარაშვილმა, ყიზლარის საძოვრების სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ი. სუჯაშვილმა, რაიონული საავდმყოფოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ე. რ. ღუდუშაურმა, „კოლმშენის" გაერთიანების თავმჯდომარემ ა. ს. ფაჯიშვილმა, სოფელ კობის ორჯონიკიძის სახელობის პარტორგანიზაციის მდივანმა კ. ზ. ქცოევამ, რაიონული ბიბლიოთეკის გამგემ ქ. ი. კაჭალიკაშვილმა, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა გ. ი. წიკლაურმა, რაონული გაზეთის „დარიალის" რედაქტორმა შ. გ. არაბულმა, ყაზბეგის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. ვ. ვალიშვილმა, საქართველოს ალკკ ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ა. მარსაგიშვილმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნაკარნახევია პარტიისა და მთავრობის ზრუნვით მთიანი მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამ დადგენილების შესრულება არა მარტო რაიონის მშრომელთა, არამედ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ამოცანაც არის 1980-1985 წლების მანძილზე ყაზბეგის რაიონში ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს — აშენდეს საცხოვრებელი სახლები და საწმენდი ნაგებობანი, საქვაბე და ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს პროფსაბჭომ, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებას, საზოგადოებრივ დათვალიერებათა მოწყობას, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის წარმოების წოვატორთა და მოწინავე კოლექტივების ბრძოლის გამოცდილების გავრცელებას.

კომუნისტური შრომის სკოლებმა ფართო პროპაგანდა უნდა გაუწიონ საწარმოების, საამქროების, უბნების, ცალკეული მუშების საქმიანობის საუკეთესო მაგალითებს ძირითადი მასალების ყაირათიანი ხარჯვის საქმეში, წარმართონ მსმენელთა ძალები მათი დაზოგვის დამატებითი რეზერვების გამოსაძებნად.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააააქტიურონ „კომკავშირული პროექტორების" მუშაობა და წარმართონ მათი საქმიანობა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, უზრუნველყონ ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობა ამ ღონისძიებებში.

რესპუბლიკური და საქალაქო გაზეთების რედაქციებს, რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს დაევალათ გააძლიერონ მასალების მომზადება ლითონის, ცემენტის, ხე-ტყის, სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ბრძოლის საკითხებზე, ფართოდ მიიზიდონ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოსვლებისათვის წარმოების მოწინავენი და ნოვატორები, ინჟინრები და ტექნიკოსები, სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების წარმომადგენლები, რათა ისაუბრონ ამ პრობლემის გადაჭრისათვის მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მეცადინეობა დაზოგვის შესამუშავებელ ღონისძიებათა სისტემის რეალიზაციისათვის უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საბოლოო ეკონომიკური ეფექტის მიღებას. (საქინფორმი).

(დასასრული 3ე-2 გვ.)

მსოფლიოს მეცნიერთა ხმა

მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა საბჭომ მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის დადებული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება და „მაყოფილება გამოთქვა, რომ წარმატებით დაგვირგვინდა გამალებული შეიარაღების ალაგმისათვის მრავალწლიანი მეცადინეობანი. ეს ასახულია მოსკოვში 5 ივლისის საბჭოს საბოლოო სხდომაზე მიღებულ დოკუმენტებში.

— მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის საბჭო ერთიანებს 42 ქვეყნის 400 ათასზე მეტ მეცნიერს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელს, ინჟინერს, — აცნობა საკდესის კორესპონდენტს თვალსაჩინო ინგლისელმა ფიზიკოსმა, ხალხთა მორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ე. ბურომამ. — აი უკვე ოცდაათ წელზე მეტია ჩვენი ფედერაცია აქტიურად იბრძვის გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საყოველთაო განიარაღებისათვის.

არ შეიძლება არ დავინახოთ, განაგრძო მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, რომ დასავლეთში ჯერ კიდევ არის ძალები, რომლებიც იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის წინააღმდეგ. ისინი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს იყენებენ, რათა დააკნინონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულების მნიშვნელობა. მეცნიერებს შეუძლიათ უდიდესი როლი შეასრულონ კაცობრიობის ბედ-იღბლისათვის ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის განმარტების საქმეში.

მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო განცხადება, რომელშიც პლანეტის მეცნიერებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ვენაში მიღწეულ მ[illegible]

პარტიული ცხოვრება

მომთხოვნელობის საზომით

თუ საღი, კრიტიკული აზრი გზას მიიკვლევს

ბილნაღი. (სკ. კორ.). „კადრებთან მუშაობის საკითხები ლ. ი. ბრეჟნევის შრომების „მცირე მიწა“, „ყაზირისა“ და „აღორძინების“ მიხედვით“. — ასეთი იყო თემა შეკრების, რომელიც ამას წინათ გაიმართა პარტიის ხიდნაღის რაიკომის საკმო დარბაზში. შეკრებაში მონაწილეობდნენ ხიდნაღისა და წითელწყაროს რაიონების პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისტები, რომლებმაც საქმიანად იმსჯელეს კადრებთან მუშაობის საპრობლემო საკითხებზე, წამოაყენეს ამ მხრივ საქმის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებები.

პარტიის ხიდნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ბუჩუკურმა ილაპარაკა კადრების მომზადებისათვის პარტიული ზრუნვის შესახებ, ხოლო პარტიის წითელწყაროს რაიკომის პროპაგანდისტი და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. აბულაშვილმა — არჩევითი პარტიული აქტივთან მუშაობის საკითხებზე.

მომხსენებლებმა, და კამათის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ასეთი თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციები, საქმის მდგომარეობის, სადღეისო თუ სანაცვლო ამოცანების შესახებ გულახდილი მსჯელობა, უკეთ მუშაობის კონკრეტული გზებისა და საშუალებების ძიება უდავოდ დაეხმარება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში.

გლ. ჭეიდლიშვილი.

●●

ამბროლაური. რაიონის ადმინისტრაციული სახლის საკმო დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „პარტიის საკადრო პოლიტიკის ლენინური პრინციპების შემოქმედებითი განვითარება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებში — („მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყაზირი“).

მოხსენება „პარტიის რაიკომის როლი და ამოცანები კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საქმეში ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების მიხედვით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. შარაბიძემ. საქართველოს ალკკ ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივნის გ. ფრუიძის ხაუბრის თემა იყო „ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების იდეური სიმდიდრის გამოყენება კომკავშირული კადრების აღზრდის საქმეში“.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკური ორგანიზაციის ლექტორების დ. მგელაძისა და ვ. რეხვიაშვილის საუბრები ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

კონფერენციის დასასრულს საინტერესო მოგონებები გაუზიარეს დამსწრეთ მცირე მიწის ბრძოლების, და ყაზირის ათვისების მონაწილემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. მესხმა და ორგზის ყაზირელმა, ბვანკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. კობახიძემ.

დ. დარასველიძე.

●●

ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრება

შუახევი. (სკკ. კორ.) აქ გაიმართა ახალგაზრდა კომუნისტთა რაიონული შეკრება დღევანდელ „სკკ პროგრამისა და ნესდების განუხრელი დაცვა კომუნისტის ნებისდამიერად მოვალეობა“.

მოხსენება „პარტიაში — მხოლოდ ღირსეულნი!“ გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ჭალალიძემ. გამოვიდნენ სხვა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. ნიშნიანიძე, ვეტერანი კომუნისტი შ. ლორია. და სხვები.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რაიონის ახალგაზრდა კომუნისტებისა და კომკავშირელებისადმი.

●●

ვეტერანთა საბჭო მოქმედებს

ახაშა. პარტიის ახაშის რაიკომთან შექმნილია ვეტერან კომუნისტთა რაიონული საბჭო, რომელშიც 20 კომუნისტია გაერთიანებული. საბჭო (თავმჯდომარე — კ. ფრანგიშვილი) მოქმედებს სპეციალური საშუალო გეგმით. მის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები: პირველმაისელი ლ. გოგინაშვილი, რომელიც პარტიის წევრია 1921 წლიდან, ახაშელები, პარტიის წევრი 1927 წლიდან პ. გაბელია, ი. ცომაია, ხეფიფელი ხ. ბალათურია და სხვები.

კვარტალში ერთხელ იწვევენ საბჭოს სხდომას, ეწყობა ვეტერან კომუნისტთა შეხვედრები საწარმოთა კოლექტივებთან, ახალგაზრდებთან, პიონერებთან.

საინტერესო შეხვედრები მოწყო ახალგაზრდობასთან კომკავშირის დაარსების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით. ვეტერანი კომუნისტები ახალგაზრდებს ესაუბრნენ ოცი-ოცი წლების კომკავშირელთა საქმიანობაზე, „ხპარტაკელთა“ მამაცობაზე. პირველი ხუთწლედის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ვეტერან კომუნისტთა საბჭომ რამდენიმე შეხვედრა გამართა შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებთან.

ი. თოფურია,
გაზეთ „განახლებული ახაშის“ რედაქტორის მოადგილე.

ეკონომიკურ თემაზე

როცა ნაშრომ-ნაღვაწს მიზნობრივად ვაჯამებთ

ნახევარი წლის შედეგების განხილვა დიდი საზოგადოებრივ-მეურნეობრივი საქმეა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს ყოველდღიურ დაძაბულ სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ახლა სხვა საზრუნავიც აქვთ — მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი ნახევრის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები საგულდაგულოდ უნდა შეჯამდეს და მშრომელთა კოლექტივების კრებებზე ფართოდ უნდა განვიხილოთ. ეს მეტად პასუხსაგები საქმეა.

თავისი ხასიათით წლიური და ნახევარი წლის შედეგების შეჯამება ყოველთვის დიდი მოვლენაა თითოეული საზოგადოებრივი მეურნეობის ცხოვრებაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულია ახლა, როცა მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს არა მარტო უნდა უზრუნველყოთ მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებების შესრულება, არამედ წინა სამწლეულში გამოვლენილი ნაკლიც დავძლიოთ.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს გასულ წლებში დაშვებული შეცდომები, როცა ცალკეული კოლექტივების წარმატებათა მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევდნენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებას და ძირითადი, საბოლოო ამოცანა — საწარმოო პროგრამის განხორციელება უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

შარშან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მთლიანი პროდუქციის გეგმების შესრულებას დააკლეს 4,2 მილიონი მანეთი და წინა წელთან შედარებით წარმოების მოცულობა 967 ათასი მანეთით შემაცირეს.

ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენის საბჭოთა მეურნეობაში წელს მარტის მეორე ნახევარში შარშანდელი წლიური ანგარიშის შედგენა დამთავრებული არ ჰქონდათ და მუშა-მოსამსახურეთა კრება ვერ ჩაატარეს. ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება ზემდგომი ორგანოების დადგენილებით იანვარში უნდა დამთავრებულიყო. მცხეთის, მარნეულისა და ლენინგორის რაიონების ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ორ თვეზე მეტი ხნით გააჭიანურეს გასული წლის შედეგების შეჯამება-განხილვის საქმე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ ამას წინათ გამართულ რესპუბლიკის აქტივის კრებაზე აღნიშნა:

„პრაქტიკა მოწმობს, რომ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი, განსაკუთრებით მართვის საშუალო რგოლის ხელმძღვანელები — საამქროებისა და განყოფილებების უფროსები და მმართველები, ოსტატები, ბრიგადირები, მერგოლურები უგულებელყოფენ ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

მართლაც, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და მეურნეობათა ხელმძღვანელები არ იცნობენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საგეგმო შედეგებს, კადრების შერჩევა, მეურნეობის მართვა თვითდინებაზეა მიშვებული და სამეურნეო ჩავარდნების შესახებ იგებენ ზემოდან, მას შემდეგ, როცა დიდი მატერიალური ზარალი უკვე თავს იჩენს და მისი გამოსწორება არცთუ ისე იოლია.

ეკონომიკურ ანალიზს, ამიტომ ყოველთვის არ შეუძლიათ შეაფასონ საბოლოო შედეგები ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი პროგრამა

(დასასრული)

ხარისხის ნიშნით

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ საველმწიფო ხარისხისნიშნიან ელექტროშტაბელერებს უშვებს. ამ მანქანებმა მოწონება დაიმსახურეს საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებზე. კონსტრუქტორები განაგრძობენ მუშაობას მათი დახვეწისათვის, და აი ახლახან ელექტროშტაბელერ-188-ის ახალი მოდელი შეიქმნა, რომელიც უფრო ეკონომიურია წინამორბედთან შედარებით. ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა — ელექტროშტაბელერ-188-ს საპატიო ხუთკუთხედი მიენიჭა.

სურათზე: საეკსპორტო უნნის ხელმძღვანელი, ამწყობი ზენინკალი ივანე ვესელოვი ელექტროშტაბელერ-188-ის გამოცდის დროს.

გ. ნანუცარიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

440 ათასი ტონა ჩაისათვის

კლანტაციები და ადამიანები

ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში ფართოფარფლებიანი ჭილოფის ქუდიანი მკრეფავები ბუჩქებზე დახრილიყვნენ, მათ წელზე კალთა მიებგერებინთ და ფოთოლს ორივე ხელით ისე სწრაფად კრეფდნენ, რომ მნახველი გაოცებას ვერ ფარავდა.

ასეა ყოველდღე. გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შინაარსიანი, მამაცური შემოქმედებითი შრომა ჩქეფს.

მინდვრად, გზებზე, ფაბრიკებში ყველგან შეხვდებით გამრჯე ადამიანებს, წუთს რომ არ კარგავენ ტყუილუბრალოდ, შემოსული ფოთლის უდანაკარგოდ აღებას რომ ეშურებიან. შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული ხუნწის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში. თითოეული ბუჩქს ეტყობა მზრუნველი ხელი.

ბეჭითად მუშაობენ ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეები. აქ ყოველდღე 460 მკრეფავი სისხამ დილიდან გვიან საღამომდე ორივე ხელით სწრაფად და უდანაკარგოდ კრეფს ჩაის ფოთოლს. კოლმეურნეთა გადაწყვეტილებით წლევანდელ სეზონში მოკრეფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.035 ტონა ფოთოლი. ეს შარშანდელთან შედარებით 80 ტონით მეტია.

პირდაპირ პლანტაციაში ვეს-ტუმრეთ ტუნგის საბჭოთა მეურნეობის სახელოვან მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს, 11 შვილის გმირ დედას მარგო ჩიქვანაიას. დილაა, თვალუწვდენელ ხავერდის ხალიჩებად გადაჭიმულა ჩაის ბუჩქები. ბევრი შინაური სქემე მოუმთავრებია მარგოს და ახლა კიდევ უფრო დიდი, ჭეშმარიტად სახალხო საქმე ელოდება. თითქმის სამოცდაათ წელს მიწეულმა ქალმა შარშანდელ მაჩვენებელს უნდა გადააჭარბოს. — 0,5 ჰექტარზე 8 ათასი კილოგრამი ფოთოლი უნდა მოკრიფოს შარშანდელი 7 ათასი კილოგრამის ნაცვლად.

ფოთოლს სწრაფად და უდანაკარგოდ კრეფენ დიდი ჭყონის, ვედიდკარისა და ბანძის საბჭოთა მეურნეობებში, სერგეთის, კიწიის, თამაკონის, სალხინოს, აბედათის, ლეხაინდრაოს, დიდი ჭყონისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

პლანტაციაში მომუშავეთათვის მუშაობის ნორმალური პირობები შეუქმნიათ, მოწყობილია დატარებითი ვაგონრობა, რომელსაც 4 ავტომდუქანი ემსახურება, რაიკოოპკავშირის გამგეობამ მეჩაიეები მოამარაგა ცხელი საჭმლით, გამაგრილებელი წყლით და პირველი მოთხოვნილების პროდუქტებით.

კრეფის გეგმის შესრულებასთან ერთად ნედლეულის ხარისხისათვის იბრძვიან გეგეჭკორელი მეჩაიეები — გვეთხრა საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მოფრელიამ. რაიონში ყოველდღე 350-370 ტონა ფოთოლი იკრიფება. შარშან ამ დროისათვის მხოლოდ 180-200 ტონა იყო მოკრეფილი. 9 ივლისისათვის სულ მოკრეფილია 11.890 ტონა ფოთოლი, შარშანდელთან შედარებით 756 ტონით მეტი.

ჩვენ წელს ყოველდღე გადასამუშავებლად მხოლოდ 180 ტონამდე ფოთოლს ველოდით მაგრამ ასე არ მოხდა: დღეში ორ ჯერ მეტი ჩაის ნედლეულს ვიღებთ. სიძნელეებს დასაძლევად ყველგან, ოთხივე ფაბრიკაში სამცვლიანი მუშაობა მოვაწყვეთ. უკვე გამოვუშვით რამდენიმე ათეული ტონა მზა პროდუქცია, რომელიც სპეციალისტებმა ჩინებულ ხარისხად ჩათვალეს — თქვა საუბარში ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გ. ალანდიამ.

ყოველდღე გეგეჭკორის. დიდი ჭყონის პირველ და მეორე, ბანძის ფაბრიკებში გადასამუშავებლად უწყვეტ ნაკადად მიედინება ჩაის ფოთოლი. მისცენ წელს სამშობლოს 22 ათასი ტონა ფოთოლი — ასეთია გეგეჭკორელთა გადაწყვეტილება.

ნიავი არხეევს მწვანე ფოთლებს, ხრეშმოყრილ შარაზე დინჯად მიაბიჯებენ სოფლისაკენ ღიღინით მომავალი მეჩაიეები.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ყოველი ოჯახის ბიუჯეტის ძირითადი წყაროა ხელფასი. ამ წყაროს დენა არ უნდა შეფერხდეს, ხოლო მისი თუნდაც დროებითი დაშრობა ხომ სრულიად შეუწყნარებელია. ეს დღისავით ნათელია. მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება ანბანური ჭეშმარიტებანი შევახსენოთ ზოგიერთებს, რომლებიც ხელფასის დროული გაცემის საკითხს ალმაცერად უყურებენ და უხეშად არღვევენ ამ მხრივ არსებულ წესებს. ამაზე ფიქრმა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში მიგვიყვანა. ვესაუბრეთ საგეგმო-საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგეს ა. ჭანტურიას.

ჩვენი ხელფასი

ყოველთვის დროულად ვიღებთ თუ არა?

ჩვენს ხელთ არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1974 წლის აპრილის დადგენილება საქართველოს სსრ მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში, რესპუბლიკის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელსა და ტექნიკუმში „მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასებისა და სტიპენდიების გაცემის ვადების უხეში დარღვევების შესახებ“. სახალხო კონტროლის კომიტეტის შესაბამისი დადგენილებაც არსებობს. ამ დადგენილების შესასრულებლად გაწეულია გარკვეული მუშაობა, მაგრამ ამ საქმეში კვლავ არის ნაკლოვანებები და უხეში დარღვევები. რა გამოავლინა ახლახან ჩატარებულმა მასობრივმა საკონტროლო შემოწმებამ?

მიმდინარე წლის პირველი ივნისისათვის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 37 ორგანიზაციას მუშა-მოსამსახურეებისთვის გაცემული არა ჰქონდა ხელფასი 570,7 ათასი მანეთის როდენობით. მათ შორის 47 ათასი მანეთი ხელფასის გაცემა 22 დღით დაგვიანეს ახალციხის № 7, ხაშურის № 20 და თიანეთის № 38 მოძრავ მექანიზებულ კოლონებში (უფროსები — ხ. ორდანოვი, ჯ. ტაბატაძე და ვ. ბელიაშვილი).

„საქმთავარწყალმშენის“ მთავარი სამმართველოს (უფროსი — ა. ბუსკერიძე) შემოწმებულთან ორგანიზაციაში გაცემული არ ყოფა მუშა-მოსამსახურეების ერთთვიანი ხელფასი 150 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან 39 ათასი მანეთი 24 დღის დაგვიანებით მიეცათ ახმეტის № 3 სამშენებლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს (უფროსი ქ. ლოლაძე).

მუშა-მოსამსახურეთა კუთვნილი ხელფასის გაცემის ყოველკვარი ვადა დაირღვა და 16 ათასი მანეთი დღესაც გაუცემელია კვების მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის № 6 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (უფროსი — რ. საღირშვილი). ამ სამინისტროს ცხრა ორგანიზაციაში დიდი დაგვიანებით გაცემული ხელფასების თანხამ 115,3 ათასი მანეთი შეადგინა.

მუშა-მოსამსახურეებისთვის გაცემები ხელფასის დაგვიანება დაიწყო ბოსანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს — აქ შემოწმებულ ცხრა ორგანიზაციაში აღმოჩნდა, რომ ხელფასები დაგვიანებით გაეცა 126,5 ათასი მანეთის როდენობით, აქედან ხაშურის № 3 სარემონტო-სამშენებლო უბანში (უფროსი — ვ. ხვედელიძე) 22 დღის დაგვიანებით გასცეს ხელფასი 9 ათასი მანეთი ოდენობით.

ხელფასების გაცემის წესებსა და ვადებს ხშირად არღვევენ სამინისა-ენერგეტიკული მეურნეობის სამინისტროს მესვეურები — შემოწმებამ გამოავლინა, რომ აქ 22 ორგანიზაციაში დიდი დაგვიანებით გაიცა ხელფასი 223,1 ათასი მანეთის ოდენობით. აქედან თიანეთის სარემონტო-სამშენებლო უბანში (უფროსი — ი. ფულეზაური) 21 დღის დაგვიანებით გაეცემოდა ხელფასმა 10 ათასი მანეთი შეადგინა.

შემოწმების არეში მოხვდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამინისტროს დაქვემდებარებულ 37 ორგანიზაციაში დიდი დაგვიანებით გაეცემული ხელფასების თანხამ 594.700 მანეთს მიაღწია. სრული ორი კვირის დაგვიანებით მისცეს 48 ათასი მანეთი ხელფასი ჯავაკიროვის, ჯავის მეცხოველეობის, წითელწყაროს რაიონის შირაქის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებს (დირექტორები — ვლ. ჭელდიევი, ზ. გათიკოევი და ა. დოროყაშვილი).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1977 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მუშა-მოსამსახურეებს დადგენილი ვადების დარღვევით მიეცათ ხელფასები 21372,8 ათასი მანეთის ოდენობით. ამის დაშვებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრს, მთავარი საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს ი. ლომიტაშვილს. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხელფასების გაცემაში უხეში დარღვევები კვლავ გრძელდება.

როგორც სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს კანტორაში განმარტეს, ხელფასის დაგვიანებით გაცემის მიზეზია, ჯერ ერთი ის, რომ მუშაკები ხელფასზე დარიცხვის სათანადო ცნობებს დაგვიანებით ადგენენ და დაგვიანებით წარადგენენ ბანკებში. მეორე მიზეზია საწარმო-დაწესებულებათა სისტემატური ფინანსური სიძნელეები, რომელთა დასაძლევად საჭირო ზომებს არ მიმართავენ საწარმოთა ხელმძღვანელები, სამინისტროები და უწყებები. დროებითი ფინანსური სიძნელეების დასაძლევად არსებულ საშუალებებს, რაც ბანკების მეშვეობით შეიძლება გაკეთდეს სესხის გაცემის სახით, ისინი არ იყენებენ. სახბანკის რესპუბლიკური კანტორა კი სპეციალურად ატყობინებს სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს ხელფასების დაგვიანებით გაცემის მიზეზებს, სამინოდ ბანის მუშაკები თავს იტვირთავენ, შრომატევად სამუშაოს ასრულებენ. მაგალითად, შემოღებულია ეგრეთ წოდებული „ელვა“-შეტყობინება, რომლის მითხოვნაა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი დავალიანებათა სალიკვიდაციოდ, უზრუნველყონ თვეში ორჯერ ხელფასების გაცემა. მაგრამ ზოგჯერ საგანგაშო შეტყობინება რეაგირების უყურადღებოდ რჩება. ამ „ელვა“-მოთხოვნის შესრულებაში განსაკუთრებით სცოდავენ მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი საწარმოს, ორგანიზაციის, უწყებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი კვლავ უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებას მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასების გაცემის ვადების უხეში დარღვევების შესახებ. როგორც რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ერთ-ერთ დადგენილებაშია ჩაწერილი, ისინი პოლიტიკურ სიბეცეს და უსულგულოობას იჩენენ მშრომელთა საჭიროებების მიმართ, ხელფასის გაცემის ვადების დარღვევებს არ განიხილავენ, როგორც საგანგებო მოვლენებს და არ მიმართავენ ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. სახალხო კონტროლის კომიტეტები ადგილებზე სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მუშა-მოსამსახურეებთან შრომის ანაზღაურების დროული ანგარიშსწორების საკითხებს, ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობას არ წარმართავენ სამეურნეო ორგანოების სამემსრულებლო დისციპლინის სისტემატური კონტროლის განხორციელებისაკენ, მკაცრად არ სთხოვენ დარღვევებისა და ნაკლოვანებების დაშვებაში კონკრეტულად დამნაშავე პირებს.

სახბანკის რესპუბლიკური კანტორის მასალებიდან კიდევ ერთი სავალალო მდგომარეობა ირკვევა: თვით სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე გაერთიანებებისა და ტრესტების ხელმძღვანელები, მათი აპარატი დაუბრკოლებლივ, დაწესებულ ვადებში იღებენ ხელფასს. მაგრამ მუშებისათვის ხელფასის დაგვიანებით გაცემა სულაც არ ანაღვლებთ. იქნებ ამიტომაც არის, რომ რესპუბლიკაში 1 ივნისისათვის გაუცემელი ხელფასის რაოდენობამ მილიონ რვაასი ათასი მანეთი შეადგინა.

ასეთი მდგომარეობის ფონზე საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე გამოთქმული აზრი: ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვება სფერო, სადაც იდეოლოგიას არ ჰქონდეს თავისი ადგილი. ყოველგვარი დარღვევა, გადახრა ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო დაწესებულების, საკონსტრუქტორო ბიუროსა და სხვათა საქმიანობაში, შრომის ორგანიზაციაში წარმოადგენს არა მარტო ორგანიზაციულ საკითხს, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საკითხსაც. აქედან გამომდინარეობს დამკვიდრებული აზრი, ადამიანი ჩვენი იდეოლოგიის, ჩვენი პოლიტიკის ცენტრში დგასო.

დიახ, პარტია თანამიმდევრულად ახორციელებს ადამიანის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების ღონისძიებებს, ჰქმნის კომუნისტური აღზრდის ახალ შესაძლებლობებს დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად, გულგრილობის, უყაირათობის, უსულგულობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ამრიგად, ყველგან და ყველა სფეროში დარღვევებისადმი, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა დროის ხმოვნენაა. მაშ, ვიყოთ ამ მოთხოვნისთა დონეზე!

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სოლიდარობას უცხადებენ ნიკარაგუელ მშრომელებს

ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 14 ქვეყნის მაღაროელთა პროფკავშირების საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა ძმური სოლიდარობა გამოუცხადეს ნიკარაგუას, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მშრომელების ბრძოლას, სადაც ხელისუფლების სათავეში დგანან დიქტატორული რეჟიმები. შეხვედრა გაიმართა მოსკოვში დარგობრივი პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების ფარგლებში (მოპ), რომელიც 6,5 მილიონ კაცს წარმოადგენს. იგი მიეძღვნა მეშახტეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

შეხვედრის შედეგები შეჯამა დარგობრივი პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ალენ სიმონმა, რომელმაც თქვა, რომ დისკუსიის მიმდინარეობაში გამომუშავებულია მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ერთიანი პლატფორმა. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა მან, ჩვენ მუდამ მივმართავთ სოციალიზმის ქვეყნების გამოცდილებას, სადაც უკვე რამდენიმე თაობამ არ იცის, რა არის უმუშევრობა და სიღატაკე, სადაც შრომისა და უფასო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ბინისა და უზრუნველყოფილი მოხუცებულობის უფლება კანონი არის გარანტირებული, რეალობად ქცეულა ყოველი ადამიანისათვის.

(საკდესი).

საბჭოთა გამოფენის დიდი წარმატება

სან-ფრანცისკო, 9 ივლისი. (საკდესის კორ.). აქ დიდი წარმატებით მიმდინარეობდა გამოფენა „სპორტი სსრ კავშირში“, რომელიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში მოეწყო. 20 ათასზე მეტი კაცი ინტერესით გაეცნო საბჭოთა ქვეყნის სპორტულ ბიოგრაფიას, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, ოლიმპიადა-80-სათვის მზადებას, საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო ურთიერთობას. გამოფენის დამთვალიერებლები შეხვდნენ საბჭოთა სპორტის სახელგანთქმულ ოსტატებს, ოლიმპიური ასპარეზობის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს ლ. ტურიშჩევას, ნ. ანდრიანოვს, ნ. კიმს, ვ. სანეევს.

ექსპოზიციის სტუმრები დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას გამოფენის დამთვალიერებლებისადმი. ეს გამოფენა, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ამერიკელებს ეხმარება უკეთ გაეცნონ საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, მის მიღწევებს მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, რაც საბჭოთა საზოგადოების კულტურის ორგანული ნაწილია, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გაზეთ „ვალიეზო ინდიპენდენტ პრესის“ სპორტულმა ჟურნალისტმა დეიე ბერონიმ. მან გაიმარჯვა სპეციალურ ოლიმპიურ ეიტორინნში და მოსკოვის ოლიმპიადის საგზური მიიღო.

საბჭოთა გამოფენამ ადგილობრივი პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია. გაზეთ „ოკლენდ ტრიბუნის“ აზრით იგი „მოგვითხრობს არა მარტო სპორტზე, არამედ საბჭოთა ცხოვრების წესზეც“.

გამოფენა „სპორტი სსრ კავშირში“ ამერიკის შეერთებულ შტატებში კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს. აჰამად მის გახსნას მოოთმენლად ელიან ქალაქ ნოკსვილის მცხოვრებნი.

ეგვიპტის ახალი დათმობა

ბეირუთი, 9 ივლისი. (საკდესი). ალექსანდრიაში (ეგვიპტე) დამთავრდა ეგვიპტე-ისრაელ-ამერიკის მოლაპარაკების მორიგი, მეოთხე ტური იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში პალესტინისათვის ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ შესახებ. ისრაელის დელეგაციის მეთაურმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ბურგმა განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს „მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ“. ასეთივე აზრი გამოთქვა ამერიკის დელეგაციის მეთაურმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა სტრაუსმა.

თუმცა პროპაგანდის ადგილობრივი ორგანოები ამბობენენ დუმილს, თუ რა ბაზაზეა მიღწეული ამ საკითხზე ეგვიპტისა და ისრაელის პოზიციების მორიგი „დაახლოება“, მაგრამ ტელევიზიელი და ვაშინგტონელი ემისარების ოპტიმიზმი აქ პოლიტიკურ მეთვალყურეებს მიაჩნიათ იმის მაჩვენებლად, რომ ისრაელმა აგრესორებმა კაიროსაგან ახალი დათმობა მიიღეს. ამ შემთხვევაში ეს გამოიხატა იმით, რომ ეგვიპტის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ადრინდელ იდეაზე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ „დეკლარაციის“ შემუშავების გამო.

გრენლანდიის მოსახლეობა

კოპენჰაგენი. როგორც დანიის სტატისტიკური სამმართველო იტყობინება, გრენლანდიის მოსახლეობა 1979 წლის 1 იანვრისათვის 49 ათას 338-ს შეადგენდა, აქედან 8 ათას 563 კუნძულის ფარგლებს გარეთ დაიბადა.

თოვლი— ივლისში

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროზე უჩვეულოდ ცივი ამინდია. ამ დღეებში ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ოტკინს-გლენის მცხოვრებნი ივლისისათვის უჩვეულო მოვლენის მოწმენი გახდნენ. თითქმის ორი საათის განმავლობაში თოვდა. თოვლის საფარმა ზოგიერთ ადგილას 10 სანტიმეტრს მიაღწია.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ჰანოი. 9 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას საქიროდ მიაჩნია კიდევ ერთხელ დადასტუროს, რომ კამპუჩიის პრობლემებს წყვეტს თვით კამპუჩიელი ხალხი. ხოლო ორი სუვერენული სახელმწიფოს, ვიეტნამისა და კამპუჩიის ურთიერთობის საკითხებს წყვეტენ მხოლოდ ეს ქვეყნები და სხვას არავის არა აქვს უფლება კამაში ჩაერიოს, ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში. ეს განცხადება გაკეთდა ასეანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ბალის კუნძულზე (ინდონეზია) ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეთა მტკიცებებთან დაკავშირებით, თითქოს ვიეტნამის შეიარაღებული ძალების ყოფნა ტაილანდ-კამპუჩიის საზღვარზე საფრთხეს უქმნიდეს უფრო ვრცელ რაიონში საომარი მოქმედების გავრცელებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კამპუჩიაში გენოციდის რეჟიმის დამხობის შემდეგ ჰეკინი ყოველნაირად უშერდა მხარს თავის დამქაშებს და იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლების სათავეში დაამყარებენ პოლ პოტ-იენგ სარის ხროვას. იმ პირობებში, როცა ჩინეთი უხეშად ერევა სახალხო კამპუჩიის საშინაო საქმეებში, ამ ქვეყნის ხალხს, ბუნებრივია, უფლება აქვს ყველა ღონისძიება განახორციელოს თავისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და უშიშროების დასაცავად. მაგრამ კამპუჩიას, როგორც ვიცით, არასდროს არ დაურღვევია ტაილანდის ტერიტორიული მთლიანობა. ამასთან, როგორც ტაილანდის ხელმძღვანელები აცხადებენ, არ არის ვიეტნამსა და ტაილანდს შორის საომარი შეტაკების საფრთხე. მაშასადამე, საკმარისია პოლ პოტის ბანდებს ნაშთებს შეუწყვიტონ მხარდაჭერა გარეედან, უმთავრესად პეკინმა, რომ ტაილანდ-კამპუჩიის საზღვარზე ვითარება არავითარ შეშფოთებას აღარ გამოიწვევს.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადების დასასრულს, არაერთხელ გაუსვამს ხაზი, რომ ვიეტნამის პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მიმართ საფუძვლად უდევს ამ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობა, თანამშრომლობა, ურთიერთგაგება, ერთმანეთის სამართლიანი ინტერესების პატივისცემა.

ჩინეთის აგრესიის კვალი

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა. ჩინელ ინტერვენტებს ლანგშონში მთელი არ გადარჩენიათ არც ერთი სამრეწველო დაწესებულება, ნანგრევებად იქცა ყველა საცხოვრებელი სახლის 85 პროცენტი — თითქოს გიგანტურ დამანგრეველ ქარბორბალას გადაეაროს ქალაქში.

სურათზე: ლანგშონის მცხოვრებნი ათვალიერებენ ფოტოსურათებს აგრესორის ბოროტმოქმედებათა შესახებ.

ადნის-საკდესის ფოტო.

ეგნატე ფიფია

საბჭოთა მედიცინამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქირურგი და მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ეგნატე კალისტრატეს ძე ფიფია.

ეგნატე ფიფია დაიბადა 1901 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში გლეხის ოჯახში. ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1920 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც წარმატებით ამთავრებს, და 1926 წელს მუშაობას იწყებს ორდინატორად პროფ. ნ. კახიანის კლინიკაში. 1930 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასისტენტია, ხოლო 1938 წლიდან ირჩევენ დოცენტად იმავე კათედრაზე, რომელსაც აკად. გრ. მუხაძე ხელმძღვანელობდა.

1936 წელს ე. ფიფია იცავს საკანდიდატო, 1938 წელს კი სადოქტორო დისერტაციას.

1940 წლიდან 1950 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის, და სანიტარია-ჰიგიენის ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრას, ხოლო 1950 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საავადმყოფოს ბაზაზე არსებული სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო ქირურგიული კათედრის გამგე იყო.

1969 წელს ე. ფიფია აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1977 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „კუჭის პათოლოგიის პრობლემები“ მას საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დიდია ე. ფიფიას დამსახურება პრაქტიკული ქირურგიისა და მეცნიერების წინაშე. მან როგორც ბრწყინვალე ქირურგმა და კლინიცისტმა საყოველთაო აღიარება და ჭეშმარიტად დიდი დასტაჭრის სახელი მოიხვეჭა.

ე. ფიფიამ პირველმა საბჭოთა კავშირში თეორიულად დაასაბუთა და პრაქტიკულად წარმატებით განახორციელა ღვიძლის ამებური ჩირქგროვის დახურული წესით მკურნალობის მეთოდი, ფართოდ დანერგა საქართველოში წესულოვანი დაავადების ქირურგიული მკურნალობის რადიკალური მეთოდი, საყლაპავის კიბოს ქირურგიული მკურნალობა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით წლების მანძილზე მუშავდებოდა მუცლის ღრუს ორგანოებისა და სისხლძარღვების ზოგიერთი დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის აქტუალური საკითხები.

მეცნიერებისა ეს უნიშვნელოვანნაკლებ უნდა ერეოს ეროვნულ ბიბლიოთეკა. ეროვნულ ბიბლიოთეკა. ... ...

სიცოცხლე მთებში



ზვიად მნვერვალთა საუფლოში შეჭრილი შუქი

მოგისმენიათ „ლილე“ — სვანთა მზის საგალობელი? გინახავთ შხარა, უშბა და თეთნულდი — კავკასიონის თეთრი დევები? პური თუ გაგიტეხიათ სვან კაცთან — ლომგულთან, მგლისმუხლიანთან, გულქართულთან და შუბალთან.

თუ ჰოს იტყვით, გაგიცვნიათ და ეგ არის ზვიად მწვერვალთა საუფლო.

ახალ სვანეთზე აღარას იტყვით!

რამდენი სიახლეა დღეს ამ ლეგენდად ქცეულ კუთხეში, რა აღმასვლაა, რა შენება, რა სიხარული.

„დედაშ, დედაშ, მირანგულა, დედაშ, ვოი, დედაშ!“

ფოტოებზე: ზემოთ — ... ; ... — ... ; ... — ... ; ...